დღეს კომუნისტური შაბათობაა!

ლენინი სრულიად რუსეთის შაბათოგაზე კრემლში 1920 წელს.

ნახატი ბ. ვასილიევისა.

...პირდაპირ უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს მუშების მიერ მათივე საკუთარი თაოსნობით მოწყობილ კომუნისტურ შაბათოგებს. ჩანს, ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია, მაგრამ ეს არის არაჩვეულებრივ დიდი მნიშვნელობის დასაწყისი.

ვ. ი. ლენინი

გულის კარნახით

შაბათოგის ორგანიზებულად მოწყობისათვის პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა საქალაქო შტაბი შრომელთა მრავალათასიანი არმიის შაბათობებზე მასობრივად გამოსვლის ხელმძღვანელობისათვის. შტაბები შეიქმნა დედაქალაქის ყველა რაიონში, საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში. უნდა აღვნიშნოთ, რომ მზადება წარმატებით მიმდინარეობდა, ტონის მიმცემი ყველგან კომუნისტები და კომკავშირელები, წარმოების მოწინავენი, შრომის ვეტერანები იყვნენ. პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი ახსნაგანმარტებითი და პროპაგანდისტული მუშაობა გასწიეს. ადგილობრივმა შტაბებმა შეიმუშავეს შაბათობათა მოწყობის კონკრეტული გეგმები, შექმნეს მონაწილეთა ბრიგადების სიები, დაამუშავეს შეკრების ადგილები, იზრუნეს სამუშაო ინვენტარისა და მასალების მომარაგებისათვის.

გვესაუბრება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი, კომუნისტური შაბათობის მომწყობი საქალაქო შტაბის ხელმძღვანელი

შ. ქარქარაშვილი.

◆

დღეს და ხვალ ათასობით თბილისელი უსასყიდლოდ იშრომებს სამშობლოს საკეთილდღეოდ. ქარხნები, ფაბრიკები, სამშენებლო ორგანიზაციები, სამეურნეო დაწესებულებები დღეს ჩვეულებრივ მუშაობენ. სამუშაოდან თავისუფალი ახლობით ადამიანი კი წესრიგში მოიყვანს საწარმოებისა და ორგანიზაციების, დაწესებულებების ტერიტორიებს, გაალამაზებს ჩვენი დედაქალაქის მიკრორაიონებს, ეზოებს. ფაბრიკებისა და ქარხნების, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციების კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს 12 აპრილი მაღალი მაჩვენებლებით აღნიშნონ. 800-ზე მეტი ახალგაზრდა დაეხმარება თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლებს. წინასწარი ვარაუდით დედაქალაქის შრომელები ამ დღეს ხუთწლედის ფონდში შეიტანენ 3 მილიონ მანეთზე მეტს.

„მშობლიური ქალაქის გამშვენიერებისათვის ზრუნვა თვითეული თბილისელის მოვალეობაა". ამ დევიზით მასობრივად იშრომებენ ახალგაზრდები თბილისის ზღვის, კუს ტბის, შავნაბადას მთის მიდამოებში, სადაც დარგავენ ათასობით ძირ მცენარეს. საწარმოებისა და ორგანიზაციების, დაწესებულებების სპეციალური ბრიგადები წესრიგში მოიყვანენ დედაქალაქის ქუჩებს, დარგავენ მრავალ ხეს და ბუჩქს.

დიდი ენთუზიაზმით, მოვალეობის კარნახით იღებენ მონაწილეობას თბილისელები საბჭოთა ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი თარიღის — პირველი კომუნისტური შაბათობის 50 წლისთავის დღესასწაულში.

80 ათასი კაცი შაბათოგაზე

დღეს, 12 აპრილს მთელი ქალაქი გამოვა მასობრივ კომუნისტურ შაბათობაზე. ბევრი მშრომელი, თავის სამუშაო ადგილზე — ფაბრიკა-ქარხნებში, ახალშენებლობებსა და ტრანსპორტზე აღნიშნავს ლენინური დამკვრელური შრომის 50 წლისთავს, და თავის ნაშრომს მთლიანად ხუთწლედის რესპუბლიკურ ფონდში გადარიცხავს.

მასობრივი შაბათობის დღეს ასეულ ათასობით ქუთაისელი გამოვა ქალაქის კეთილმოწყობის, გამწვანების, დასუფთავების და სხვა სამუშაოებზე.

ახალგაზრდობის პროსპექტზე და კომკავშირულ ხეივანში, რომლებიც ახალგაზრდობის ძალებით შენდება, შაბათობის დღეებში დარგავენ 100 ათას ძირზე მეტ მარადმწვანე მცენარეს. ავტოქარხნის ბულვარში ნარგავებისათვის ამოიღებენ 2.600 ორმოს, ხოლო ერთ კრძივ კილომეტრზე გააშენებენ ცოცხალ ღობეს.

დიდი სამუშაოები შესრულდება მწვანეყვავილაზე, სტალეგეზიო-ანის მიდამოებში. მაგალითად 3.500 კაცი გამოვა ხრიოკ ადგილების გასამწვანებლად. მათი ძალებით დაირგვება 17.500 ძირი ხე. მწვანე ნარგავებით შეიმოსება აგრეთვე ქუთაის-ტყიბულის რკინიგზის მარცხენა ფერდობი, წყალწითელას ხიდის მიდამოები.

სამრეწველო საწარმოთა დამკვრელი კომკავშირული ბრიგადები იმუშავებენ საწარმოთა ტერიტორიების კეთილმოწყობასა და დასუფთავებაზე. მცენარეთა დარგვაზე. ამასთან შეიტანენ 150 ტონა შავ და ფერად ლითონის ჯართს, 100 ტონა მაკულატურას.

შაბათობები შემდგომ დღეებშიც გაგრძელდება. მათში მონაწილეობას მიიღებს 80 ათასზე მეტი მშრომელი.

თამარ ვარდანაშვილი,
პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი.

ჩვენი წვლილი

ცხინვალის მექანიკურ ქარხანაში მუშათა კოლექტივმა ვალდებულება იკისრა დღეს კომუნისტურ შაბათობაზე გეგმის გადამეტებით გამოუშვას სეიფები, მიკროქალაბები, გაზის ბალონები და სხვა, სულ 7 ათასი მანეთის ღირებულებისა. მთელი ეს თანხა ჩაირიცხება ხუთწლედის რესპუბლიკურ ფონდში.

ქარხანა „ემალსადენში" მუშები შაბათობაზე გამოვლენ საწარმოს ტერიტორიისა და მისი სკვერის კეთილმოწყობაზე. ქარხნის ახალი კორპუსის მშენებლობაზე შასრულებენ 6.000 მან. სამუშაოს.

8 ათასი მანეთის ზეგეგმოის პროდუქციას გამოუშვებს ქარხანა „ვიბრომანქანა". აქვე ქარხნის მუშების ინიციატივით მოეწყობა სკვერი, სადაც დღეს 500 ძირი წიწვოვანი ხე დაირგვება.

გამწვანების სამუშაოები შესრულდება აგტოსარემონტო ქარხანასა და სამკერვალო ფაბრიკაში.

თამარ ცაგარეიოვა,
პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი.

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში საბრძმედე საამქროს № 1 ღუმელი მეტალურგთა დამკვრელური შრომით გახდა შოუნინვე. მასობრივი შაბათობის დღეს ღუმელის კოლექტივმა იკისრა. სამშობლოს მისცეს 400 ტონა თუჯი. ამ მოწყვეტაში თავის წვლილს შეიტანენ მექანიკოსები ა. მორგოშია (მარცხნივ) და ზ. ლომიძე.

ფოტო ს. კილაძისა.

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

12 აპრილი შაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 86 (14386)

12 აპრილი კოსმონავტიკის დღეა!



საბჭოთა პირველმკვალავთა დღესასწაული

კოსმონავტიკის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება

12 აპრილს ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს ორ ღირსშესანიშნავ თარიღს როგორც დიდ საყოველთაო სახალხო დღესასწაულს. ეს არის პირველი კომუნისტური შაბათობების 50 წლისთავი და კოსმონავტიკის დღე — კოსმონავტი იური გაგარინის დედამიწის ირგვლივ სივრცეში ფრენის რვა წლისთავი.

კრემლის ყრილობათა დასასლე. აქ 11 აპრილს გაიმართა დედაქალაქის მშრომელთა და მოსკოვის გარნიზონის მეომართა საზეიმო კრება, რომელიც კოსმონავტიკის დღეს მიეძღვნა.

შეკრებილნი ხანგრძლივი ტაშით მიესალმნენ ამხანაგებს ა. პ. კირილენკოს, ა. ტ. მაზურუკს, ა. ი. პელმშს, ა. ნ. შელეპინს, ვ. ვ. გრიშინს, დ. თ. უსტინოვს, ი. ვ. კაპიტონოვს, მ. ს. სოლმენცევს, სხვა საბჭოთა სახელმწიფო და პარტიულ მოღვაწეებს, სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავებს, რომლებიც პრეზიდიუმში შემოვიდნენ. საზეიმო კრების მონაწილენი აგრეთვე გულთბილად მიესალმნენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, მშენებლობისა და არქიტექტურის მინისტრს პეტრო ჯუბანოვსკის, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ანტალ აპრრს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს დამდინსაინს გომბოშუავს, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს შრანტიშეკ პეტრს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ივან ბაშევს.

დარბაზში არიან სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, უცხოელი სტუმრები, ჟურნალისტები.

— ვერც წლები, ვერც საუკუნეები ვერ წაშლიან მადლიერი კაცობრიობის მეხსიერებაში 1961 წლის 12 აპრილის დღეს, როცა საბჭოთა კოსმონავტმა მსოფლიოში პირველმა კოსმოსურ ხომალდით სამყაროს გამოუცნობ სივრცეებში თავისი უმაგალითო ფრენა მოადგინა მსოფლიოში პირველმა კოსმონავტმა მფრინავმა, კომუნისტმა დიადი ლენინური პარტიის წევრმა იური ალექსის-ძე გაგარინმა, — თქვა კრების გახსნისას მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ფ. პრომისლოვმა.

კოსმონავტიკის დღეს წელს საბჭოთა ხალხი აღნიშნავს იმ უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოიწვია მზადებამ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ღაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ხაზგასმით აღნიშნა ვ. ფ. პრომისლოვმა.

მან მიუთითა მეუოცა გმირ კოსმონავტებს, მეცნიერებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მუშებს, რომლებმაც შექმნეს მძლავრი ხომალდები, საყოველთაო დღესასწაული — კოსმონავტიკის დღე.

ხაზგასმით ეღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნი. მოსკოველმა მოხუცებმა ყვავილები მიართვეს კრების პრეზიდიუმის წევრებს.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს მ. ვ. კელდიშს.

კოსმონავტიკის დღე ჩვენში გახდა კოსმოსური სივრცის კვლევასა და ათვისებაში ჩვენი ქვეყნის — კოსმონავტიკის სამშობლოს მიღწევათა დათვალიერება, თქვა მეცნიერმა. საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ეს დღესასწაული დაწყებულ 1961 წლის 12 აპრილის ისტორიული თარიღის აღსანიშნავად, როცა საბჭოთა მოკალაქემ იური გაგარინმა მოახდინა პირველი ფრენა კოსმოსში, რომელმაც დასაბამი მისცა ადამიანის კოსმოსური ფრენის ერას. საერთაშორისო საავიაციო ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება 1969 წლიდან ეს დღე აღინიშნოს როგორც ავიაციისა და კოსმონავტიკის მსოფლიო ახალგაზრდობის დღე. ეს გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ მოწმობს გაგარინის ფრენის უდიდესი მნიშვნელობის აღიარებას კოსმონავტიკის მთელი განვითარებისათვის, კოსმოსის დაპყრობაში საბჭოთა ხალხის გრანდიოზულ მიღწევათა აღიარებას.

დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის გამვლების დროიდან რომელმაც დასაბამი მისცა კაცობრიობის კოსმოსურ ერას, საბჭოთა

(დასასრული მე-2 გვ.)

სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავები, საბჭოთა კავშირის გმირები. პირველ რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ): ა. ნიკოლაევი, პ. ბელიაევი, ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა, ვ. ბიკოვსკი, პ. პოპოვიჩი, გ. ტიტოვი, მეორე რიგში: კ. ფეოქტისტოვი, ბ. ვოლინოვი, ე. ხრუნოვი, გ. ბერეგოვოი, ვ. შატალოვი, ა. ელისეევი, ა. ლეონოვი და ბ. ეგოროვი.

(საკდესის ფოტოდოკუმენტი).

დარბაზობა ამხ. ლ. ბრეჟნევთან

11 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ამხ. ბ. კოუცკი.

საუბარმა, რომლის დროსაც შეეხნენ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ძმური ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებს, მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

ა. გრეჩკო შეხვდა ვ. გომულკას

ბერლინი, 10 აპრილი. (საკდესი). გერმანიაში განლაგებული საბჭოთა ჯარების ჯგუფში ჩამოსული სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. **გრეჩკო** დღეს შეხვდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. **გომულკას,** რომელიც ამჟამად ბერლინში იმყოფება.

საუბარში მონაწილეობდნენ პოლონეთის მხრივ: პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. **ცირანკევიჩი,** პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. **კლიშკო,** პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. **იაშჩუკი;** საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პ. ა. **აბრასიმოვი.**

გაიმართა მეგობრული საუბარი, რომლის დროს სრული ურთიერთგაგებისა და ერთსულოვნების ვითარებაში განიხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხები, რომლებსაც აქტუალური მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის შემდგომი თანამშრომლობის განმტკიცებისათვის.

დიადი თაოსნობის მემკვიდრენი

11 აპრილს რკინიგზელთა კულტურის ცენტრალურ სახლში გაიმართა მოსკოვის რკინიგზის მოსკოვის სახარისხებელი სადგურის სალოკომოტივო დეპოს წარმოების მოწინავე მუშაკების, კომუნისტური შრომის დამკვრელების კრება, რომელიც პირველი კომუნისტური შაბათობების 50 წლისთავს მიეძღვნა.

პრეზიდიუმში შემოდიან ამხანაგები ნ. ვ. პოდგორნი, ვ. ვ. გრიშინი და სხვები, რომლებსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

კრება გახსნა მოსკოვის სახარისხებელი სადგურის სალოკომოტივო დეპოს პარტკომის მდივანმა **ვ. ს. დობიჩინმა.**

შეკრებილი სიტყვით მიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ნ. ვ. პოდგორნიი.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობის დავალებით ნ. ვ. პოდგორნიმ მოსკოვის სახარისხებელი სადგურის დეპოს დროშას მიანიჭა ლენინის ორდენი, რომლითაც დეპოს კოლექტივი დაჯილდოებულია საწარმოს საქმიანობაში, პირველი კომუნისტური შაბათობების 50 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტური შეჯიბრების განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის.

კრებაზე გამოვიდნენ აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. **გრიშინი** და სხვები.

შეკრებილებმა ერთსულოვნად მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი. (საკდესი).

გმირი ქალაქის დღესასწაული

ოდესა, 10 აპრილი. (საკდესი). ზეიმით აღნიშნა დღეს გმირმა ქალქმა შესანიშნავი თარიღი — გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისგან ოდესის განთავისუფლების 25 წლისთავი.

დიღმა ზღვის ნაპირას ტ. გ. შევჩენკოს სახელობის ცენტრალურ პარკში შექმნილ დიდებულ ემორიალურ კომპლექსთან მივიდა ათასობით მოქალაქე. მათ ცოცხალი ყვავილების გვირგვინებით შეამკეს უცნობი მატროსის ძეგლი და მამაძრლოს ფილები დიდების ხეივანში, სადაც განსვენებენ ოდესელთა. ბრძოლებში დაღუპული გმირები.

დღესასწაულის გამო აქ გაიმართა საერთო-საქალაქო მიტინგი. მას ესწრებოდნენ სტუმრები: სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, გმირი ქალაქების მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ვოლგოგრადის, სევასტოპოლის, ციხე-სიმაგრის ბრესტის, წითელ-დროშოვანი შაი ზღვის ფლოტის, ეროოეგრადის, ქალაქების ტიმნიოვის, ლვოვის, ნიკოლაევსა და ხერსონის დელეგაციები.

ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალებზე, რომლებითაც მეოთხედი საუკუნის წინათ ოდესაში შეიჭრა საერთაშორისო ფაშისტური ოკუპაციისაგან ოდესის განთავისუფლების

25 წლისთავი

◆

მოდოიდწენ უკრაინის მე-3 ფრონტის ნაწილები, საზეიმო მარშით ჩაიარეს ოდესის გარნიზონის მეომრებმა.

გმირ ქალაქის მშრომელებმა და სტუმრებმა ყვავილებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი, ოქტომბრის გამარჯვებისათვის მებრძოლთა და პოტიომკინელ რევოლუციურ მატროსთა ძეგლები, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის, საბჭოთა კავშირის მარშლის რ. ი. მალინოვსკის ბიუსტი.

ნაშუადღეს დღესასწაულის ცენტრმა გადაინაცვლა ოპერისა და ბალეტის თეატრში, სადაც გაიმართა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისგან ოდესის განთავისუფლების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

ოვანეს თუმანიანის საიუბილეოდ

◆

მეგობრობისა და ძმობის მოამღერალი

მიმდინარე წლის ოქტომბერში ჩვენი ქვეყნის ხალხები დიდი სიყვარულით აღნიშნავენ სომხეთის სახალხო პოეტის, ხალხთა მეგობრობის მგზნებარე მომღერლის **ოვანეს თუმანიანის** დაბადების 100 წლისთავს. დიდი პოეტისა და მოაზროვნის ოვანეს თუმანიანის შემოქმედება ერთნაირად ძვირფასია სომხებისა და ქართველებისთვის, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისთვის, რადგან იგი გულში სწვდება ხალხს, აღსავსეა მოქალაქეობრიობითა და ფილოსოფიური აზრებით, უმღერის კაცობრიობის დიად იდეალებს.

მრავალი საუკუნის ერთობლივმა ბრძოლამ და სულიერმა სიახლოვემ წარმოშვეს დიდი მეგობრობა ამიერკავკასიის ლიტერატურათა წარმომადგენლებს შორის. ამის დადასტურებაა ვაგიფისა და გურამიშვილის, თუმანიანისა და გრიშაშვილის, გურღუნისა და ტიციან ტაბიძის, მნატვრული სიტყვის მრავალი სხვა ოსტატის შემოქმედება. ოვანეს თუმანიანი მთავალი წლის მანძილზე ცხოვრობდა და ქმნიდა თბილისში, ქადაგებდა თავისუფლებას, თანასწორობასა და მეგობრობას ხალხთა შორის.

ოვანეს თუმანიანის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით შეიქმნა **რესპუბლიკური საიუბილეო კომისია** საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი **გ. აბაშიძის** თავმჯდომარეობით. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ **ი. აბაშიძე, რ. აგაბაბიანი, დ. ანთაძე, ა. ბარამიძე, ხ. ბერულავა, ა. ბლრციანი, გ. გაგლოევი, კ. გამსახურდია, გ. გოშაძე, ს. დოლიძე, ო. თაქთაქიშვილი, ი. თარბა, კ. კალაძე, ზ. ლეონავა, ე. მაღრაძე, რ. მარგიანი, მ. მაჭავარიანი, ა. მირცხულავა, დ. მჭედლიშვილი, ი. ნონეშვილი, ბ. ულენტი, შ. ყარყარაშვილი, ჯ. ჩარკვიანი, დ. ჩხიკვიშვილი, ხ. ჭილაია, ფ. ხალვაში, ი. ხომერიკი, ვ. ჯიბლაძე.** (საქდესი).

რკინიგზელთა წარმატება

მოსკოვიდან მივიღეთ სასიხარულო ცნობა. ამიერკავკასიის რკინიგზამ ქვეყნის რკინიგზებს შორის 1968 წელს დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა გეგმის შესრულებაში დაიკავა პირველი ადგილი. განვლილ წელს ამიერკავკასიის რკინიგზის მშრომელებმა სამუშაოთა საერთო მოცულობა შეასრულეს 110.8 პროცენტით. ეს 16,6 პროცენტით მეტია, ვიდრე 1967 წლის შესაბამის პერიოდში. (საქდესი).

საკდესის ცნობა

გაუშვეს კავშირგაბმულობის თანამგზავრი «მოლნია-1»

1969 წლის 11 აპრილს საბჭოთა კავშირში გაუშვეს კავშირგაბმულობის მორიგი თანამგზავრი „მოლნია-1".

კავშირგაბმულობის თანამგზავრი „მოლნია-1" გათვალისწინებულია იმისათვის, რომ უზრუნველყოს შორეული სატელეფონო-სატელეგრაფო რადიოკავშირის სისტემის ექსპლოატაცია, აგრეთვე გადასცეს სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზიის პროგრამები „ორბიტის" ქსელის პუნქტებს, რომლებიც განლაგებულია შორეული ჩრდილოეთის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთისა და შუა აზიის რაიონებში.

თანამგზავრი გაყვანილია მაღალელიფსურ ორბიტაზე, რომლის აპოგეა 39.700 კილომეტრი ჩრდილოეთ ნახევარსფეროში და პერიგეაა 470 კილომეტრი სამხრეთ ნახევარსფეროში. თანამგზავრის მიმოქცევის პერიოდია 11 საათი და 53 წუთი, ორბიტის დახრილობა — 65 გრადუსი.

თანამგზავრზე დადგმულია აპარატურა ტელევიზიის პროგრამის გადასაცემად და შორეული მრავალარხიანი რადიოკავშირის განსაორციელებლად, აგრეთვე საკოსმონო-გასაზომი კომპლექსის აპარატურა, თანამგზავრის ორიენტაციისა და მისი ორბიტისა და ენერგოკვების კორექციის სისტემები.

მიღებული მონაცემებით, კავშირგაბმულობის თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

კავშირის სეანსები თანამგზავრ „მოლნია-1"-ის საშუალებით მოეწყობა დასახული პროგრამის შესაბამისად.



(დასასრული)

სამყაროს პირველმკვალავთა დღესასწაული

ადამ „ვოსტოკ-3“ და „ვოსტოკ-4“ თანამგზავრი ხომალდებით, „პოლიოტ-1“ და „პოლიოტ-2“ კოსმოსური აპარატებით, „კოსმოს-186“, „კოსმოს-188“, კოსმოს-212“, „კოსმოს-213“, თანამგზავრებით „სოიუზ-2“ და „სოიუზ-3“ კოსმოსური ხომალდებით განხორციელებული თეორიული განგაგრიშებისა და ტექნიკური ექსპერიმენტების მთელი სერია. ახლანდელი ფრენით დაიწყო ახალი ეტაპი კოსმოსური სივრცის ათვისებაში. მან ცხადყო, რომ კოსმოსურ სივრცეში შესაძლებელია აიწყოს დიდი მეცნიერულ-ტექნიკური კომპლექსები — მუდმივმოქმედი ორბიტული სადგურები, რომლებშიც იქნებიან მეცნიერი მკვლევარები, მათ შესაძლებლობა აქვთ საჭირო ადათ შეკვალონ ეკიპაჟები. მომდინარე წლის გაფრენათა შედეგად, თქვა მეცნიერმა, ვადაიჭრა მეტი წილი პრინციპული საკითხები, რომლებიც იდგა ორბიტული სადგურების შექმნის გზაზე, და შორეული საპლანეტათშორისო მოგზაურობის განხორციელებასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი.

ძნელია გადაჭარბებით შეგვფასოთ ორბიტული სადგურების მნიშვნელობა მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესისათვის, თქვა მან შემდეგ. ამ სადგურებით შეიძლება განვახორციელოთ გეოგრაფიული, მეტეოროლოგიური და გეოფიზიკური კვლევა, გეოლოგიური დაზვერვა, შვეისწავლოთ საპლანეტათშორისო გარემო.

მეცნიერმა დაზვერილებით ილაპარაკა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ავტომატიკას კოსმოსის კვლევის დროს. მას შემდეგ, რაც დაიწყო კოსმოსური ერა, თქვა მ. ვ. კელდიშმა, ჩვენს ქვეყანაში გაშვებულია დედამიწის დაახლოებით 300 ავტომატური ხელოვნური თანამგზავრი და ათობით ავტომატური სადგური მთვარისა და პლანეტებისაკენ. ამჟამად მეცნიერული კოსმოსური კვლევა უმთავრესად ხორციელდება ავტომატური აპარატების საშუალებით. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის ამოწურული თანამედროვე ავტომატური მოწყობილობათა შესაძლებლობანი. უფრო მეტიც, ეს შესაძლებლობანი წლითიწლობით იზრდება, მაგრამ კოსმოსის კვლევა ისეთ ამოცანებსაც სახავს, რომელთა გადაჭრაში აუცილებელია ადამიანის მონაწილეობა.

აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა აღნიშნა, რომ კოსმოსური ტექნიკის განვითარებამ და კოსმოსური საფრენი აპარატების ფრენის ამოცანების გართულებამ საჭირო გახადა ატმოსფეროში მართული ფრენის პრობლემის გადაწყვეტა. ამ ამოცანის ყველაზე მიზანშეწონილი გადაწყვეტაა ის, რომ აპარატის წინაღმდეგობის ძალასთან ერთად გამოვიყენოთ აგრეთვე მისი აეროდინამიკური ამწევი ძალა, რომელიც შეიძლება შეექმნათ, თუ აპარატს მივცემთ სპეციალურ ფორმას და აპარატის მასის ცენტრს გადავადგილებთ მისი სიმეტრიის ღერძის მიმართ. მართვის სისტემის საშუალებით შეიძლება განხორციელდეს აპარატის მოძრაობის რეგულირება ატმოსფეროში ამწევი ძალის მიმართულების შეცვლის საშუალებით მისი გასწვრივი ღერძის გარშემო აპარატის შემობრუნების გზით. მეცნიერმა აღნიშნა, რომ ატმოსფეროში კოსმოსური აპარატების შესვლის მართვა საშუალებას გვაძლევს უზრუნველყოთ დედამიწაზე დიდი სიზუსტით დაშვება და ამასთან მნიშვნელოვნად შევამციროთ მაქსიმალური გადამეტტვირთვა ატმოსფეროში დამუხრუჭების დროს. ორბიტიდან დაშვებისათვის, ესე იგი პირველი კოსმოსური სიჩქარის დროს, ეს განხორციელდა „სოიუზის“ ტიპის ორბიტული კოსმოსური ხომალდების დაჯდომის დროს. შესვლის მართვა საშუალებას გვაძლევს წარმატებით გადავწყვეტოთ ის ურთულესი ამოცანა, რომ აპარატი დიდი სიზუსტით დავსვათ რაიონში, რომელიც მრავალი ათასი კილომეტრით არის დაშორებული ატმოსფეროში შესვლის წერტილიდან, როცა მეორე კოსმოსური სიჩქარით მთვარიდან ბრუნდება. ატმოსფეროში ასეთი აპარატის შესვლის ადგილს განსაზღვრავს ფრენის ბალისტიკა კოსმოსში სამხრეთ ნახევარსფეროში, ხოლო მისი დაჯდომა უნდა განხორციელდეს სსრ კავშირის ტერიტორიაზე, ამ ამოცანის გადაწყვეტის დროს კოსმოსური აპარატის დამუხრუჭება ორ ეტაპად ხორციელდება: ატმოსფეროში პირველი ჩაშვების უბანზე და მეორე ჩაშვების უბანზე. პირველი ჩაშვების დროს ამწევი ძალით აპარატი კვლავ გამოდის ატმოსფეროს ფარგლებს გარეთ და ერთბანს თვალსაზრისით მოძრაობს ატმოსფეროს ფარგლებს გარეთ; შემდგომი დამუხრუჭებელია კოსმონავტების რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, როცა მზის აფეთქებანი არ არის.

მეცნიერმა ილაპარაკა ავტომატური სადგურების მომავალზე და აღნიშნა, რომ ისინი შეძლებენ კოსმოსიდან ჩამოიტანონ არა მარტო ფოტოსურათები, არამედ შემდგომში ციური სხეულების ნივთიერებათა ნიმუშებიც.

საბჭოთა კოსმოსური პროგრამა ითვალისწინებს მზის სისტემის პლანეტების კვლევის განვითარებას, თქვა შემდეგ მეცნიერმა, ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესი ეტაპი გახდა თვალსაჩინო ექსპერიმენტი, რაც წლინახევრის წინ შეასრულა „ვენერა-4“ ავტომატურმა სადგურმა, რომელმაც 1967 წლის 18 ოქტომბერს მიაღწია პლანეტა ვენერას. სადგურის დასაშვები აპარატი შევიდა პლანეტის ატმოსფეროში მეორე კოსმოსური სიჩქარით, ნელნელა დაეშვა ატმოსფეროში და განახორციელა ატმოსფეროს პარამეტრების პირველი უშუალო გაზომვები. „ვენერა-4“ სადგურის მიერ დაწყებული კვლევის გასაგრძელებლად 1969 წლის 5 და 10 იანვარს გაშვებულ იქნა „ვენერა-5“ და „ვენერა-6“ საპლანეტათშორისო ავტომატური სადგურები. მოსალოდნელია, რომ სადგურები პლანეტას მიაღწევენ 1969 წლის მაისის შუა რიცხვებში.

საბჭოთა კოსმოსურ კვლევაში დიდი ადგილი ეთმობა „პროტონის“ ტიპის სადგურების საშუალებით მაღალი და ზემაღალი ენერგიების კოსმოსური სხივების შესწავლას. 1968 წლის 16 ნოემბერს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზე გაყვანილი ახალი „პროტონ-4“ კოსმოსური სადგური განაგრძობს მუშაობას, ხორციელდება მისგან მიღებული ინფორმაციის ანალიზი.

ახლა მთელი ქვეყანა ემზადება საზეიმოდ აღნიშნოს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავი, თქვა დასასრულ მ. ვ. კელდიშმა. ლენინის ხელმძღვანელობით შეიქმნა საბჭოთა სახელმწიფო, საფუძველი ჩაეყარა სოციალიზმის მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში. ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა დიდი ოქტომბრის დროიდან. ჩვენ ვხედავთ, თუ რა ვრცდიოზული წარმატებანი მოიპოვა ამ პერიოდში საბჭოთა ქვეყანამ, რა განუზომლად გაიზარდა მისი მრეწველობა, ტექნიკა, მეცნიერება. სოციალიზმის პირველი ქვეყნის წარმატებათა ერთ-ერთი მკაფიო დადასტურებაა კოსმოსის გზის აღმოჩენა. ეს არის საბჭოთა სახელმწიფოს მთელი წინა განვითარების, ლენინის ანდერძის წარმატებით განხორციელების შედეგი. ჩვენი ქვეყნისა და საბჭოთა მეცნიერების ყველა უდიდესი მიღწევა საბჭოდ დაკავშირებული იქნება ლენინის სახელთან.

ტრიბუნაზე ადის სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი პოლკოვნიკი ვ. ა. შატალოვი, რომელსაც დამსწრენი გულთბილად ხვდებიან.

— ნება მიბოძეთ კოსმონავტი მფრინავების სახელით, იმათი სახელით, ვინც უკვე იყო კოსმოსში, და იმათი სახელითაც, ვინც ემზადება ამაღლ საინტერესო და რთული ფრენისათვის, ვარსკვლავეთის ქალაქის ყველა მცხოვრების სახელით, — თქვა კოსმონავტმა, — გულითადად მივულოცო მძლავრი კოსმოსური ხომალდების, თანამგზავრებისა და საპლანეტათშორისო სადგურების შემქმნელებს, საზეიმო კრების ყველა მონაწილეს ეს შესანიშნავი დღესასწაული!

კოსმონავტმა აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში ადამიანის საქმიანობის ასპარეზი გახდება არა მარტო დედამიწა, არამედ სხვა ციური სხეულებიც, სამყაროს უკიდეგანო სივრცეები.

როცა კოსმოსში მივდიოდი, თან წავიღე ხომალდზე ვლადიმერ ილიას ძე ლენინის პორტრეტი, თქვა გმირმა. ახლა ამ პორტრეტს ვინახავ როგორც ყველაზე ძვირფას სახსოვარს.

პირველი საკისრის ქარხნის ზეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირმა ა. ვ. პიძტორშემა მთელი დარბაზის მქუხარე ტაშის გრიალში წაიკითხა კრების მონაწილეთა მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

კოსმონავტიკის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება დახურულად ცხადდება. დარბაზის თაღებქვეშ კვლავ ყღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნი.

გ. კულრიავცევა, ლ. მარკელოვა, მ. მერაბიშვილი, ა. რომანოვი,
საკადესის კორ.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — **მზადება კოსმოსურ ხომალდ „სოიუზის“ გაშვებისათვის; მარჯვნივ** კოსმოსური ხომალდი „სოიუზი“ სტარტს ელის.

(ცალკები ტელეფოტოებიდან „ოთხნი კოსმოსში“.)



დიადი თაოსნობა გრძელდება

კირველი კომუნისტური შაბათობის 50 წლისთავი

საბჭოთა რუსეთი 1919 წლის გაზაფხულზე კვლავ აღმოჩნდა მტრულ რკალში. კოლჩაკის არმია, რომლის ზურგს უკან უცხოელი იმპერიალისტები იდგნენ, შეტევაზე გადმოვიდა. პარტიამ მოუწოდა ხალხს მტრის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. პარტიის მოწოდებას მუშათა კლასმა უპასუხა მასობრივი შრომითი გმირობით. ისე როგორც ახლა, მაშინაც შრომის ავანგარდში კომუნისტები მიდიოდნენ.

პირველი კომუნისტური შაბათობის ორგანიზატორები რკინიგზელი მუშა-კომუნისტები იყვნენ. 6 აპრილს მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის მოსკოვის მახარისხებელი დეპოს პარტიული უჯრედის წევრებმა გადაწყვიტეს შეეკეთებინათ ორთქლმავლები, რომლებიც აუცილებელი იყო სამარშრუტო მატარებლების გასაგზავნად აღმოსავლეთის ფრონტზე. შაბათობა მოეწყო 12-13 აპრილს ღამით.

მოსკოვის მახარისხებელი დეპოს კომუნისტების ინიციატივამ ფართო მხარდაჭერა მოიპოვა არა მარტო რკინიგზელებს შორის, არამედ მთელი ქვეყნის მუშათა კლასში. მან მიბაძეს მოსკოვის, პეტროგრადის, ტულის და სხვა ქალაქების მუშებმა. წმინდა პარტიული კომუნისტური შაბათობიდან იგი მალე გადაიქცა მასობრივ კომუნისტურ შაბათობად. 1919 წლის ზაფხულში და შემოგდგომაზე კომუნისტური შაბათობები ეწყობოდა ლენინური მოწოდებით: ყველაფერი დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად! 1920 წლისათვის კომუნისტური შაბათობანი გადაიზარდნენ სრულიად რუსეთის კვირაობებსა და შაბათობებში. 1920 წელს გამართულ სრულიად რუსეთის საპირველმაისო შაბათობაში მონაწილეობდა ვ. ი. ლენინი.

პირველი კომუნისტური შაბათობანი წარმოადგენდნენ შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების მასობრივი გამოვლინების ყველაზე ადრინდელ ფორმას. მიწილია „კოსმოსის“ სერიის დაახლოებით 70 თანამგზავრი, რომლებითაც ფართოდ ვიკვლევდით დედამიწისახლო კოსმოსურ სივრცესა და ზედა ატმოსფეროს. გაშვებულია მსოფლიოში უდიდესი საშვცხიერო ლაბორატორია „პროტონ-4“ ბირთვული ფიზიკისა და კოსმოსური სხივების ფიზიკის კვლევის განსაგრძობად.

შემდეგ აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა დაწერილებით ილაპარაკა კოსმოსურ კვლევისა და კოსმოსური სივრცის ათვისების შემდგომ განვითარებაზე.

„სოიუზის“ ტიპის ხომალდებს, თქვა შემდეგ მ. ვ. კელდიშმა, აქვთ კოსმოსურ სივრცეში მანეურირების ფართო შესაძლებლობანი. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს სულ სხვადასხვა ამოცანის გადასაწყვეტად.

აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა თქვა, რომ „სოიუზ-4“ და „სოიუზ-5“ ხომალდების ფრენა გახდა თვალსაჩინო ექსპერიმენტი, რომელმაც შეინიშნა, რომ კოსმოსური ტექნიკის განვითარებამ და კოსმოსური საფრენი აპარატების ფრენის ამოცანების გართულებამ საჭირო გახადა ატმოსფეროში მართული ფრენის პრობლემის გადაწყვეტა. ამ ამოცანის ყველაზე მიზანშეწონილი გადაწყვეტაა ის, რომ აპარატის წინააღმდეგობის ძალასთან ერთად გამოვიყენოთ აგრეთვე მისი აეროდინამიკური ამწევი ძალა, რომელიც შეიძლება შეექმნათ, თუ აპარატს მივცემთ სპეციალურ ფორმას და აპარატის მასის ცენტრს გადავადგილებთ მისი სიმეტრიის ღერძის მიმართ. მართვის სისტემის საშუალებით შეიძლება განხორციელდეს აპარატის მოძრაობის რეგულირება ატმოსფეროში ამწევი ძალის მიმართულების შეცვლის საშუალებით მისი გასწვრივი ღერძის გარშემო აპარატის შემობრუნების გზით. მეცნიერმა აღნიშნა, რომ ატმოსფეროში კოსმოსური აპარატების შესვლის მართვა საშუალებას გვაძლევს უზრუნველყოთ დედამიწაზე დიდი სიზუსტით დაშვება და ამასთან მნიშვნელოვნად შევამციროთ მაქსიმალური გადამეტტვირთვა ატმოსფეროში დამუხრუჭების დროს. ორბიტიდან დაშვებისათვის, ესე იგი პირველი კოსმოსური სიჩქარის დროს, ეს განხორციელდა „სოიუზის“ ტიპის ორბიტული კოსმოსური ხომალდების დაჯდომის დროს. შესვლის მართვა სამუალებას გვაძლევს წარმატებით გადავწყვეტოთ ის ურთულესი ამოცანა, რომ აპარატი დიდი სიზუსტით დავსვათ რაიონში, რომელიც მრავალი ათასი კილომეტრით არის დაშორებული ატმოსფეროში შესვლის წერტილიდან, როცა მეორე კოსმოსური სიჩქარით მთვარიდან ბრუნდება. ატმოსფეროში ასეთი აპარატის შესვლის ადგილს განსაზღვრავს ფრენის ბალისტიკა კოსმოსში სამხრეთ ნახევარსფეროში, ხოლო მისი დაჯდომა უნდა განხორციელდეს სსრ კავშირის ტერიტორიაზე, ამ ამოცანის გადაწყვეტის დროს კოსმოსური აპარატის დამუხრუჭება ორ ეტაპად ხორციელდება: ატმოსფეროში პირველი ჩაშვების უბანზე და მეორე ჩაშვების უბანზე. პირველი ჩაშვების დროს ამწევი ძალით აპარატი კვლავ გამოდის ატმოსფეროს ფარგლებს გარეთ და ერთბანს თვალსაზრისით მოძრაობს ატმოსფეროს ფარგლებს გარეთ; შემდგომი დამუხრუჭებელია კოსმონავტების რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, როცა მზის აფეთქებანი არ არის.

მეცნიერმა ილაპარაკა ავტომატური სადგურების მომავალზე და აღნიშნა, რომ ისინი შეძლებენ კოსმოსიდან ჩამოიტანონ არა მარტო ფოტოსურათები, არამედ შემდგომში ციური სხეულების ნივთიერებათა ნიმუშებიც.

საბჭოთა კოსმოსური პროგრამა ითვალისწინებს მზის სისტემის პლანეტების კვლევის განვითარებას, თქვა შემდეგ მეცნიერმა, ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესი ეტაპი გახდა თვალსაჩინო ექსპერიმენტი, რაც წლინახევრის წინ შეასრულა „ვენერა-4“ ავტომატურმა სადგურმა, რომელმაც 1967 წლის 18 ოქტომბერს მიაღწია პლანეტა ვენერას. სადგურის დასაშვები აპარატი შევიდა პლანეტის ატმოსფეროში მეორე კოსმოსური სიჩქარით, ნელნელა დაეშვა ატმოსფეროში და განახორციელა ატმოსფეროს პარამეტრების პირველი უშუალო გაზომვები. „ვენერა-4“ სადგურის მიერ დაწყებული კვლევის გასაგრძელებლად 1969 წლის 5 და 10 იანვარს გაშვებულ იქნა „ვენერა-5“ და „ვენერა-6“ საპლანეტათშორისო ავტომატური სადგურები. მოსალოდნელია, რომ სადგურები პლანეტას მიაღწევენ 1969 წლის მაისის შუა რიცხვებში.

საბჭოთა კოსმოსურ კვლევაში დიდი ადგილი ეთმობა „პროტონის“ ტიპის სადგურების საშუალებით მაღალი და ზემაღალი ენერგიების კოსმოსური სხივების შესწავლას. 1968 წლის 16 ნოემბერს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზე გაყვანილი ახალი „პროტონ-4“ კოსმოსური სადგური განაგრძობს მუშაობას, ხორციელდება მისგან მიღებული ინფორმაციის ანალიზი.

ახლა მთელი ქვეყანა ემზადება საზეიმოდ აღნიშნოს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავი, თქვა დასასრულ მ. ვ. კელდიშმა. ლენინის ხელმძღვანელობით შეიქმნა საბჭოთა სახელმწიფო, საფუძველი ჩაეყარა სოციალიზმის მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში. ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა დიდი ოქტომბრის დროიდან. ჩვენ ვხედავთ, თუ რა ვრცდიოზული წარმატებანი მოიპოვა ამ პერიოდში საბჭოთა ქვეყანამ, რა განუზომლად გაიზარდა მისი მრეწველობა, ტექნიკა, მეცნიერება. სოციალიზმის პირველი ქვეყნის წარმატებათა ერთ-ერთი მკაფიო დადასტურებაა კოსმოსის გზის აღმოჩენა. ეს არის საბჭოთა სახელმწიფოს მთელი წინა განვითარების, ლენინის ანდერძის წარმატებით განხორციელების შედეგი. ჩვენი ქვეყნისა და საბჭოთა მეცნიერების ყველა უდიდესი მიღწევა საბჭდამდე დაკავშირებული იქნება ლენინის სახელთან.

ტრიბუნაზე ადის სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი პოლკოვნიკი ვ. ა. შატალოვი, რომელსაც დამსწრენი გულთბილად ხვდებიან.

— ნება მიბოძეთ კოსმონავტი მფრინავების სახელით, იმათი სახელით, ვინც უკვე იყო კოსმოსში, და იმათი სახელითაც, ვინც ემზადება ამაღლ საინტერესო და რთული ფრენისათვის, ვარსკვლავეთის ქალაქის ყველა მცხოვრების სახელით, — თქვა კოსმონავტმა, — გულითადად მივულოცო მძლავრი კოსმოსური ხომალდების, თანამგზავრებისა და საპლანეტათშორისო სადგურების შემქმნელებს, საზეიმო კრების ყველა მონაწილეს ეს შესანიშნავი დღესასწაული!

კოსმონავტმა აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში ადამიანის საქმიანობის ასპარეზი გახდება არა მარტო დედამიწა, არამედ სხვა ციური სხეულებიც, სამყაროს უკიდეგანო სივრცეები.

როცა კოსმოსში მივდიოდი, თან წავიღე ხომალდზე ვლადიმერ ილიას ძე ლენინის პორტრეტი, თქვა გმირმა. ახლა ამ პორტრეტს ვინახავ როგორც ყველაზე ძვირფას სახსოვარს.

პირველი საკისრის ქარხნის ზეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირმა ა. ვ. პიძტორშემა მთელი დარბაზის მქუხარე ტაშის გრიალში წაიკითხა კრების მონაწილეთა მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

კოსმონავტიკის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება დახურულად ცხადდება. დარბაზის თაღებქვეშ კვლავ ყღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნი.

გ. კულრიავცევა, ლ. მარკელოვა, მ. მერაბიშვილი, ა. რომანოვი,
საკადესის კორ.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — **მზადება კოსმოსურ ხომალდ „სოიუზის“ გაშვებისათვის; მარჯვნივ** კოსმოსური ხომალდი „სოიუზი“ სტარტს ელის.

(ცალკები ტელეფოტოებიდან „ოთხნი კოსმოსში“.)

ტექნიკური კიბერნეტიკის ჰორიზონტები

მექანიკის, გამოთვლითი მექანიკისა და მართვის პროცესების დარგის სპეციალისტ მეცნიერთა თათბირი

ამას წინათ თბილისში ჩამოვიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილების წარმომადგენელი მეცნიერთა ჯგუფი ლენინური პრემიის ლაურეატის, სოციალისტური შრომის გმირის, აკადემიკოს ბ. პეტროვის მეთაურობით. სამი დღის განმავლობაში სტუმრები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილების სამეცნიერო-კვლევითის დაწესებულებებში ეცნობოდნენ, თუ როგორ არის დაყენებული მეცნიერული კვლევა და დამუშავება და როგორ ინერგება მათი შედეგები სახალხო მეურნეობაში. მეცნიერები იყვნენ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის, ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის, სამთო მექანიკის, საბადოთა დამუშავებისა და აფეთქების ფიზიკის, მანქანებისა და პოლიმერების მექანიკის, სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტებში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა ა. ლეტოვმა და მ. გავრილოვმა, ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. გორანსკიმ და ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორებმა, პროფესორებმა ვ. ბოლოტნიმა და ი. კრაგელსკიმ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში წაიკითხეს ლექციები მექანიკისა და მართვის პროცესების აქტუალურ საკითხებზე.

9 აპრილს თბილისში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილებისა და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მართვის პროცესების განყოფილების სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებში ეცნობოდნენ, თუ როგორ არის დაყენებული მეცნიერული კვლევა და დამუშავება და როგორ ინერგება მათი შედეგები სახალხო მეურნეობაში. მეცნიერები იყვნენ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის, ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის, სამთო მექანიკის, საბადოთა დამუშავებისა და აფეთქების ფიზიკის, მანქანებისა და პოლიმერების მექანიკის, სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტებში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა ა. ლეტოვმა და მ. გავრილოვმა, ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. გორანსკიმ და ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორებმა ვ. ბოლოტნიმა და ი. კრაგელსკიმ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში წაიკითხეს ლექციები მექანიკისა და მართვის პროცესების აქტუალურ საკითხებზე.

9 აპრილს თბილისში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილებისა და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა ვ. მახალდიანმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა რ. დვალმა.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი მ. ჯგალკინი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. მიქელაძე. (საქდესი).

□

საგჭოთა მეურნეობების მეფუძნახეებისა და მეხილეების ამოცანები

გაიმართა მეხილეობისა და მეფუძნახეობის საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა აქტივის თათბირი, რომელზეც განხილულ შარშანდელი სამეურნეო წლის შედეგები და მიმდინარე წლის ამოცანები.

მოახსენებელმა — ტრესტის მმართველმა ვ. მირიანაშვილმა და კამათში გამოსულმა ილარიონ მეფუძნახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ი. ჯიქიძემ, ქინძმარაულის მეფუძნახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ი. რეხიაშვილმა, ახალციხე მეფუძნახეობის სანერგე მეურნეობის დირექტორმა თ. შუშაშვილმა, ხურვალეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარმა ეკონომისტმა ი. მახარაძემ, ყარალეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარმა ზოოტექნიკოსმა ვ. ხარიბეგაშვილმა, ხირსის მეფუძნახეობის საბჭოთა მეურნეობის თავმჯდომარემ ა. ბერომაშვილმა, ხანობაშვილმა, ციდილწყაროს მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ა. ხორბალაძემ ილაპარაკეს პრობლემებზე, რომელთა წარმატებით გადაჭრა ხელს შეუწყობს საბჭოთა მეურნეობის მეფუძნახეობისა და მეხილეობის ტრესტებს მოთბეთოვონ ახალი წარმატებანი.

ტრესტის საბჭოთა მეურნეობებმა შარშან გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნისა და ხილის, აგრეთვე ბოსტნეულის, მარცვლეულის, ბაჩრის ჭარხლისა და სხვა კულტურების მოყიდვის დავალებანი. ტრესტის 47 საბჭოთა მეურნეობიდან 43-მა მოგებით დაამთავრა შარშანდელი წელი. საუცხოოდ იმუშავეს ბრნოს მეხილეობის, ბოკულნისა და ახმეტის მეფუძნახეობის საბჭოთა მეურნეობებისა და მთელი რიგი სხვა მეურნეობების კოლექტივებმა.

გადიდებული ამოცანებია დასახული საბჭოთა მეურნეობების წინაშე მიმდინარე წელს. მაგალითად, თუ 1968 წელს ყურძნის მოსავლიანობამ ჰექტარზე საშალოდ შეადგინა 43 ცენტნერი, წელს ჯგუფმა მან უნდა მიაღწიოს 44,6 ცენტნერს. საბჭოთა მეურნეობებს მეფუძნახეებმა ვალდებულება აიღეს დაამზადონ 65 ათას ტონაზე მეტი ყურძენი, შარშანდელთან შედარებით 18 ათას ტონაზე მეტი.

ოა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. პოსპელოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ა. ლეტოვი და ე. გრიგოლიუკი, ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკური კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორი, ბელორუსიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. გორანსკი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილების ტექნიკური კიბერნეტიკის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მ. გაგრილოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლ. გალინი, ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პოლიმერების მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი, ბელორუსიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. ბელი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორები ი. კრაგელსკი და ა. ბესსონოვი.

მექანიკისა და მართვის პროცესების აქტუალური პრობლემების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. ჭავჭანიძემ, სამთო მექანიკის, საბადოთა დამუშავებისა და აფეთქების ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. ძიძიგურამ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა ვ. მახალდიანმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა რ. დვალმა.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი მ. ჯგალკინი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. მიქელაძე. (საქდესი).

კომუნისტი

მე-3 გვერდი, შაბათი, 12 აპრილი, 1969 წ.

საქართველოს სოფელი

მსოფლიო დღეს

ქრონიკა • კროგლემები

დღეიშათა საბჭოთა იუსტიციანი

ნატო-ომის საფრთხის მთავარი წყაროა

მსოფლიო პრესის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის განცხადებაზე

ვარშავა, 10 აპრილი. (საკ-დესი). გაზეთებმა „ტრიბუნა ლუდუმ“, „ეიჩე ვარშავიმ“ და „ეოლნეე ვოლნოსტმა“ დღეს გამოაქვეყნეს სსრ კავშირის მთავრობის განცხადება ნატოს 20 წლისთავთან დაკავშირებით. სხვა გაზეთებმა დაბეჭდეს ამ განცხადების ვრცელი შინაარსი. საბჭოთა მთავრობამ, ხაზს უსვამს „ტრიბუნა ლუდუ“, მძაფრად გააკრიტიკა ჩრდილოატლანტიკური პაქტის აგრესიული არსი და აღნიშნა, რომ ბუდაპეშტის მიმართვის იდეები მშვიდობისა და ევროპის უშიშროების რეალური პლატფორმაა.

პოლონეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს ორგანო გაზეთი „ელოს პრაცი“ წერს, რომ სსრ კავშირის მთავრობის განცხადება შეიცავს არგუმენტირებულ მასალებს ნატოს „საშიში საქმიანობის შესახებ.

სოფია, 10 აპრილი. (საკ-დესი). „ბულგარეთის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს საბჭოთა მთავრობის განცხადებას სამხრეთ ევროპაში ნატოს შექმნის 20 წლისთავთან დაკავშირებით.

სათაურებით „ნატო მშვიდობის სერიოზული საფრთხეა“ და „ნატო ომის საფრთხის, აგრესიისა და კონტრრევოლუციის მთავარი წყაროა“ გაზეთები „რაბოტნიჩესკო დელო“, „ნაროდნა არმია“ აქვეყნებენ განცხადების სრულ ტექსტს. დანარჩენმა გაზეთებმა დაბეჭდეს მისი ვრცელი შინაარსი.

გაზეთი „ზემედელსკო ზნამე“ ხაზს უსვამს, რომ ნატოს საქმიანობა ეწინააღმდეგება მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებს და მკითხველთა ყურადღებას აპყრობს განცხადების იმ ადგილებს, სადაც აღნიშნულია, რომ ცხოვრებამ გაფანტა იმპერიალისტთა მიერ შექმნილი მითი, თითქოს ევროპაში არსებობდეს „საბჭოთა აგრესიის“ საფრთხე, რომ ჩრდილოატლანტიკური პაქტი საომარი საფრთხის მთავარი წყაროა, ევროპის მთელი რეაქციული ძალების ბურჯი, დასავლეთგერმანული მილიტარიზმისა და რევანშიზმის მფარველია. „ეკონომიჩესკაია სლოო“ საბჭოთა მთავრობის ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს ბეჭდავს სათაურით „საბჭოთა კავშირი მოგვიწოდებს მშვიდობის განმტკიცებისაკენ“.

ბერლინი, 10 აპრილი. (საკ-დესი). „ოცი წლის მანძილზე ნატო დაბრკოლებებს ქმნის მთელ მსოფლიოში მშვიდობის უწრუნველყოფის გზაზე“ („ნეიეს დეიჩლანდი“), „ნატოს აგრესიული სამხედრო პაქტი საფრთხეს უქმნის ევროპის უშიშროებას“ („ბერლინერ ცაიტუნგი“), „ნატოს სამხედრო ბლოკი აგრესიული ხასიათისაა და მიმართულია ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყნის წინააღმდეგ“ („იუნგე ველტი“) — ასეთი სათაურებით დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთები ბეჭდავენ ნატოს ბლოკის შექმნის 20 წლისთავის გამო გამოქვეყნებულ საბჭოთა მთავრობის განცხადების სრულ ტექსტს ან შინაარსს.

არსებობის ოცი წლის მანძილზე ნატოს აგრესიული ბლოკის ძირგამომთხრელმა საქმიანობამ, რომელიც მიმართულია მშვიდობისა და მთელ მსოფლიოში დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ, გააცამტვერა ამ ორგანიზაციის დამაარსებელთა პირფერული განცხადებანი თითქოს იგი თავდაცვითი მიზნით შექმნილიყოს. ბაზს უსვამს „ნეიეს დეიჩლანდი“, არსებობის პირველ დღიდანვე ნატო „ცივი ომისა“ და აღვირახსნილი ანტიკომუნიზმის ინსტრუმენტია.

პარიზი, 10 აპრილი. (საკდესი). „ნატო ხელს უშლის საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიან გადაჭრას“, — წერს დღეს გაზეთი „ლუმანიტე“, რომელიც აქვეყნებს ჩრდილოატლანტიკური ბლოკის 20 წლისთავის გამო საბჭოთა მთავრობის განცხადების ვრცელ შინაარსს.

